ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს სამოქმედო გეგმის ნიმუშის

განმარტებითი ბარათი

ზოგადი მითითებები

მოცემული განმარტებითი ბარათის მიზანია დამატებითი ინფორმაციის მიწოდება სამოქმედო გეგმის ნიმუშთან დაკავშირებით. მუნიციპალიტეტს შეუძლია სურვილისამებრ გამოიყენოს ბარათში აღნიშნული დასაბუთებები და/ან სხვა რელევანტური საკითხები სამოქმედო გეგმის დამტკიცებისთვის საჭირო სამართლებრივი აქტის მომზადებისას.

თანდართული სამოქმედო გეგმის ნიმუში არის სარეკომენდაციო ხასიათის, მუნიციპალიტეტს შეუძლია გაითვალისწინოს ან არ გაითვალისწინოს როგორც მთლიანად ნიმუში, ისე მისი რომელიმე თემა ან პუნქტი.

1. სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16, მე-17 და მე-18 მუხლების შესაბამისად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საზოგადოებრივი სერვისების, სოციალური და ეკონომიკური განვითარების, თანასწორობისა და გარემოს დაცვის მიმართულებით შეიმუშაოს და განახორციელოს ადგილობრივი მნიშვნელობის პროგრამები და გეგმები, მ.შ. შეიმუშოს “ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს” სამოქმედო გეგმა, რომელსაც დადგენილებით ამტკიცებს საკრებულო.

წინამდებარე სამოქმედო გეგმა ეყრდნობა **საქართველოს კონსტიტუციით** აღიარებულ პრინციპებს ქალთა და კაცთა თანასწორობისა და ბავშვთა ინტერესების დაცვის შესახებ, **საქართველოს კანონს „ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ“,** ასევე **საქართველოს კანონს „ბავშვის უფლებათა კოდექსი”**. გარდა ამისა, იგი შეესაბამება საქართველოს მიერ რატიფიცირებულ **საერთაშორისო დოკუმენტებს,** მათ შორის: **გაეროს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციას (CEDAW), ბავშვის უფლებათა კონვენციას (CRC), ევროპის საბჭოს სტამბოლის კონვენციას ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციის შესახებ, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპულ ქარტიას, ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორობის შესახებ ევროპულ ქარტიას (შეიძლება მიეთითოს აღნიშნული ქარტიის ხელმომწერი მუნიციპალიტეტების შემთხვევაში).**

2. დოკუმენტის მიზანი და არსი

„ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს" 2026 წლის სამოქმედო გეგმა წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომლის საშუალებითაც მუნიციპალიტეტი ადგენს ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით საანგარიშო პერიოდის განმავლობაში (2026 წელი) მისაღწევი მოკლევადიანი მიზნების, განსახორციელებელი ამოცანების და აქტივობების ჩამონათვალს, ასევე აკონტროლებს მათ შესრულებას წინასწარ გაწერილი ინდიკატორების მიხედვით. საანგარიშო წლის დასრულების შემდეგ შეფასდება გეგმის მიზნებისა და ამოცანების მიღწევები. აღსანიშნავია, რომ **მიზნის** მიღწევა ფასდება ამონაცების შესრულების მაჩვენებლით. მიზანი მიღწეულად ითვლება, თუ შესრულდა ამოცანების 50%ზე მეტი. **ამოცანა** შესრულებულად ითვლება, თუ შესრულდა კონკრეტული ამოცანის აქტივობების 50%ზე მეტი. **აქტივობების** შესრულება ფასდება წინასწარ დადგენილი ინდიკატორების (როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი) მიხედვით, სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის შეფასებით. აქტივობა ითვლება შესრულებულად, თუ დაგეგმილი სამიზნე მაჩვენებელი მიღწეულია 75%-ით და მეტით. აქტივობა ითვლება ნაწილობრივ შესრულებულად, თუ სამიზნე მაჩვენებელი მიღწეულია 25%-75%-ით. აქტივობა ითვლება შეუსრულებლად, თუ სამიზნე მაჩვენებელი მიღწეულია 25%-ზე ნაკლებით.

საბოლოო ჯამში, გეგმის მიზანია ხელი შეუწყოს ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის მექანიზმების ინტეგრაციას ადგილობრივ პოლიტიკასა და პროგრამებში, გააძლიეროს თანასწორობის, ჩართულობისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპების რეალიზება მუნიციპალიტეტების დონეზე.

სამოქმედო გეგმა მოიცავს **14 ძირითად მიმართულებას,** მათ შორის: **ქალთა ჩართულობის და ეკონომიკური გაძლიერების, ქალთა და ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციის, ბიუჯეტირების პროცესში თანასწორობის, ბავშვთა უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლების, ბავშვებისა და ახალგაზრდების მონაწილეობის, მუნიციპალურ სერვისებში ჩართულობის ხელშეწყობას, ბავშვთა შესაძლებლობების განვითარების და შშმ ბავშვების საჭიროებების გათვალისწინების საკითხებს.** გეგმა ასახავს და ეხმიანება მუნიციპალიტეტში არსებულ რეალობასა და კონკრეტულ საჭიროებებს.

მოცემული სამოქმედო გეგმის ნიმუში არის სარეკომენდაციო ხასიათის, მუნიციპალიტეტს შეუძლია გაითვალისწინოს ან არ გაითვალისწინოს როგორც მთლიანად ნიმუში, ისე მისი რომელიმე თემა ან პუნქტი.

3. საჭიროების დასაბუთება და მოსალოდნელი შედეგები

გეგმის შემუშავების აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ ადგილობრივ დონეზე ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის პოლიტიკა ხშირად ფრაგმენტულია და საჭიროებს ერთიან, ინსტიტუციურად გამყარებულ ჩარჩოს და ხედვას. სამოქმედო გეგმა აერთიანებს **პრევენციულ**, **საგანმანათლებლო, სოციალურ** და **ეკონომიკურ ღონისძიებებს,** რაც უზრუნველყოფს საკითხების მიმართ კომპლექსურ მიდგომას.

გეგმის განხორციელების შედეგად მოსალოდნელია:

- ქალთა მონაწილეობისა და წარმომადგენლობის ზრდა გადაწყვეტილების მიღების ორგანოებში;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება თანასწორობისა და ბავშვთა უფლებების თემებზე;
- ეკონომიკური შესაძლებლობების გაფართოება ქალებისთვის;
- ძალადობის პრევენციისა და რეაგირების მუნიციპალური მექანიზმების გაძლიერება;
- სქესის და ასაკის მიხედვით სეგრეგირებული მონაცემების შეგროვება და გამოყენება;
- მუნიციპალურ სერვისებში ჩართულობის ხელშეწყობა;
- ბავშვთა მონაწილეობის მექანიზმების გაძლიერება ადგილობრივ თვითმმართველობაში;
- მუნიციპალურ სერვისებში ბავშვთა ჩართვის გაზრდა, მათი უნარების განვითარების ხელშეწყობა;

4. შესაბამისობა საერთაშორისო ვალდებულებებთან

სამოქმედო გეგმა სრულ შესაბამისობაშია საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებთან გენდერული თანასწორობისა და ბავშვთა უფლებების კუთხით. გეგმა ხელს უწყობს საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებას **გაეროს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის (CEDAW)** და **ბავშვის უფლებათა კონვენციის (CRC) ფარგლებში,** ასევე ეხმიანება **სტამბოლის კონვენციის პრინციპებს,ევროპის საბჭოს დღის წესრიგის „ქალები, მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის“ ამოცანებს და ხელს უწყობს „ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორობის შესახებ ევროპული ქარტიის“ მიზნების განხორციელებას (შეიძლება მიეთითოს აღნიშნული ქარტიის ხელმომწერი მუნიციპალიტეტების შემთხვევაში).**

5. ფინანსური და ადმინისტრაციული ასპექტები

გეგმა ხორციელდება **მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის, დელეგირებული უფლებამოსილებისთვის სახელმწიფო მიზნობრივი ტრანსფერებისა** და, საჭროების შემთხვევაში, **ადგილობრივი და საერთაშორისო დონორების დაფინანსებით.** სამოქმედი გეგმის შესასრულებლად ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრება მუნიციპალიტეტის შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ აქტივობების ნაწილი წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯს და არ საჭიროებს დამატებითი ფინანსური რესურსების მობილიზებას. აგრეთვე გასათვალისწინებელია, რომ ქალთა და ბავშვთა უფლებების რეალიზებისკენ მიმართული მუნიციპალიტეტის ძალისხმევის ფარგლებში წინა წლებშიც იგეგმებოდა და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა სხვადასხვა სახის პროგრამები/აქტივობები/ღონისძიებები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე სამოქმედო გეგმა არ იწვევს მკვეთრ, გაუთვალისწინებელ და დაუსაბუთებელ ცვლილებებს მუნიციპალურ ხარჯებში.

ასევე, მოცემულ სამოქმედო გეგმის ნიმუშში **ბიუჯეტის მოცულობა** წარმოდგენილია პირობითად – აღნიშნული საკითხის განსაზღვრა მთლიანად მუნიციპალიტეტის პრეროგატივას წარმოადგენს.

6. პასუხისმგებელი უწყებები და განხორციელების ვადები

სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და შესრულების კოორდინაციას ახორციელებს "ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის საბჭო", მერიის შესაბამის სამსახურებთან და საკრებულოს აპარატთან, ასევე მუნიციპალიტეტში არსებულ სამთავრობო და არასამთავრობო აქტორებთან თანამშრომლობით. სამოქმედო გეგმის ნიმუშში აქტივობების შემსრულებელი მოცემულია პირობითად და მუნიციპალიტეტმა უნდა მიუთითოს თავისი სტრუქტურიდან გამომდინარე არსებული მერიისა და საკრებულოს შესაბამისი სამსახურები. ამასთან, შესაძლებელია პარტნიორ უწყებად მოიაზროს კონკრეტული სახელმწიფო, მუნიციპალური ან არასამთავრობო ორგანიზაცია.

გეგმის განხორციელების ვადები განისაზღვრება ერთწლიანი ციკლით, 2026 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ამასთან, გათვალისწინებულია გეგმის შესრულების კონტროლი და პერიოდული ანგარიშგება, რის საფუძველზეც მოხდება გეგმის კორექტირება საჭიროებისამებრ. რაც შეეხება ნიმუშში მოცემულ **ვადებს**, ესეც პირობითია და მუნიციპალიტეტი თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვრავს აქტივობის შესრულების პერიოდს.